# ბახტრიონი

ფასი 5.000 მ.


ედაქ ჯ ს მისამართი: პუშკინას პასსაჟი ტელეფ. 8—04

განცხადების ფასი მორიგებით.

კვირეული სალიტერატურო და ინფორმაციის გაზეთი

№ 22 | კვირა 10 დეკემბერი | № 22


მეოცნებე ნიამორები

8


შინაარსი.

გრიგოლ რობაქიძე—მიწის სჯული: ხორალი

პაოლო იაშვილი—ევროპა

ტიციან ტაბიძე—სეზონის ფალავანი

შალვა აფხაიძე—სოლო სიონში

გიორგი ლეონიძე—ახალი მთვარე კახეთში

ელენე დარიანი—წერილი ანნა ახმატოვას

რაჟდენ გვეტაძე—მანიფესტი ვირებს

ვალერიან გაფრინდაშვილი— – ივანე მაჩაბელი

ჟიულ ლაფორგი—სამგლოვიარო მარში

სერგეი კლდიაშვილი—დაბრუნება

გრიგოლ რობაქიძე—სიტყვის როია


რედაქტორი: ვალერიან გაფრინდაშვილი.

---


## რუსთაველის თეატრი

ორშაბათი 11 დეკემბერი

სრულიად საქართველოს ხელოვანთა კავშირის მთავარი კომიტეტი მართავს 25 წლის შემოქმედების აღსანიშნავად

### მოქანდაკე
### იაკობ ნიკოლაძის
### იუბილეს

I. მოხსენებებს წაიკითხავენ: ივანე გომართელი, ვახტანგ კოტეტიშვილი.

II. სიტყვები საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლების.

III. თეატრში გაიმართება იაკობ ნიკოლაძის ნაწარმოებთა გამოფენა.

დარჩენილი ბილეთები იყიდება თეატრის კასაში.

ბანკეტზე ხელის მოწერას იღებს ხელოვანთა სასახლეში კომენდანტი პლატონ კეშელავა. მისამართი: სერგ. ქ. № 13. ტელ. 17—51.

საიუბილეო კომიტეტი

---

პირველ იანვრიდან ტფილისში განახლდება გამოცემა ყოველკვირეულ გაზეთი

## „ბარრიკადი“

პოეზია, ესტეტიკა, პოლიტიკა.

გაზეთში იქნება მიმოხილვა წარსული წლის პოეზიისა საქართველოში და ევროპაში

დაბეჭდილი იქნება დეკლარაციები და მანიფესტები.

რედაქტორი: ტიციან ტაბიძე.

---

## ხელოვანთა სასახლე
(სერგეევის ქ. № 13)

საქართველოს ახალ მწერალთა კავშირის მორიგი 48

## ესტეტიური საღამო.

კვირას, 10 დეკემბერს

პ. ინგოროყვას მეოთხე მოხსენება შოთა რუსთაველზე

### „რუსთაველის გეოგრაფია“

საღამო დაიწყება 7 საათზე.

შესავალი ფასი 20 ათასი მ.

დარბაზი გათბობილია.




იაკობ ნიკოლაძე

## მოქანდაკე ნიკოლაძე.

1902 წელი. ზაფხულის პირი. „სეირნობა“ ახალ კლუბის ბაღში (მაშინ სათავად აზნაური). მრავალი გასართობები. ყურადღებას იქცევს ერთი კიოსკი: მეფისტოს თავია ჩამოსხმული კიოსკად. გვერდით ჭაბუკი სდგას: დაბალი ტანის შავი თმა, ოდნავ ხუჭუჭი გიშერი, დიდრონი შავი თვალები, პროფილი ძველი ასირელის, სილუეტი მიმზიდველი ფრიად. ჭაბუკი იაკობ ნიკოლაძე და კიოსკი მისი ნამოქმედარი. ეს იყო ჩემი პირველი ნახვა ქართველი ქანდაკების.

გავიდა ხუთი წელი. პარიზში ვარ. ვხვდები ქართველებს. გავიცანი „ჟაკო“. წამსვე დაუახლოვდი. არის მის ბუნებაში რადაც ძალზე უშუალო, თითქმის „სიბავშვე“, მხოლოდ, ისეთი რომელიც ჩვეულთა ხვედრია მხოლოდ. არავითარი სიავე, არავითარი ბოროტი, არავითარი გესლი—მის ბუნებაში არ მიგრძვნია; პირიქით: მუდამ გულ ახდილი, ლაღი მეტად, აფრთოვანებული, ბედნიერი სიცილით.

ხშირად დავიარებოდი მასთან. საკმაოდ დიდი ოთახი: გაყოფილია ფარდით: აქეთ—ატელიე, იქით—„საცხოვრებელი“—თუმცა ცხოვრებით უფრო ატელიეში ცოცხლობს. არ დამავიწყდება ერთი სანახაობა: შევდივარ: „ჟაკო“ ფინიას ეალერსება: ამ ალერსში რაღაც უცნაური დავინახე: ხელოვანისათვის ძაღლიც იყო გონიერი: თითქო ხუთი წლის ბავშვს უთხრობდა ზღაპარს ღიმილით.

იმთავითვე „ჟაკოს“ ბუნებაში ერთი რამ იპყრობდა ჩემს ყურადღებას: უშუალო ტალანტი. მას დიდი განათლება არ მიუღია, მაგრამ ინტუიციით დიდ საკითხებს სწვდება. ხანდიხან თითონაც გამოსძებნის ხოლმე ასეთ საკითხებს. ყოველს საკითხში თავის აზრს თავისებურ არაბესკად გაიყვანს. თუმცა „სიტყვით ხანდიხან ისეთ განცდას მოგწვდის, როგორც „ბერი“ ხავსიანი ქვა ძველი საიდუმლო წარწერით.

ნიკოლაძე ნამდვილი ხელოვანია, პლასტიური გრძნობა უმძაფრესად განვითარებული აქვს. ქართველთა გენია უფროსად პლასტიურია: აქ ნიკოლაძე ამ გენიას ქვაში ჰკვეთს ცეცხლეული შთაგონებით. მისი შემოქმედებაში მე პირადათ მისი სამხატვრო ტემპერამენტი მიპყრობს; ტემპერამენტი წმინდა, შეურეველი, გაუგრილებელი, უშუალო. მთელს მის შემოქმედებას ქალური სირბილე ახლავს. იქნებ ეს ქართველთა ისტორიის შედეგი იყოს. მიქელ-ანჯელოს „სივაჟე“ აულაგმავი, დემონიური, მამაცეცხლი ჩვენს ისტორიის ბოლოს და ბოლოს გაურბის მაგრამ თვითონ ქალურობა“ ნიკოლაძის შემოქმედებაში განუმეორებელ სინაზესა ჰქმნის.

ნიკოლაძე ისეც ხელოვანია: სიცოცხლეში. ბოჰემის ტემპერამენტი მისი ერთი საუკეთესო ნაკვეთია. მთელი მისი სიცოცხლე ხელოვანთა შორის ტრიალებს. ყველაზე უფრო გრძნობს სიტყვის სიახლეს, ლექსის მიერ, სახის უჩვეულობას. და რაც უფრო ყურადსაღებია: ძვირად მონახავთ ნიკოლაძის მზგავსს პიროვნებას‘ რომელსაც სხვის „კარგი“ სხვის გამარჯვება„ (საკუთრივ ხელოვნებაში) ასე ძალზე ახარებდეს.

აუტანელია ის ატმოსფერა, საცა ნიკოლაძე მოქმედობს: არ არის შკოლა,, არ არის ტრადიცია. მოქანდაკეს შეუძლია იმოქმედოს: პარიზში, მიუხენში, რომში. იქ არის, ჯიბრი“. თბილისი მხოლოდ უდაბნოა მოქანდაკისთვის. მით უფრო საკვირველია ნიკოლაძის შემოქმედებითი ჟინი, რომლითაც იგი ამ უდაბნოში ინთება.

კიდევ სხვა უბედობა: ნივთიერი შევიწროება. ადგილიც არ აქვს: მჭედელს სამჭედლო არ ქონდეს უბედურობა არის. ქართველი ერი გულუხვია. თუ კარგი რამ დაინახა? დროა, ახლა მაინც დაინახოს თავისი მოქანდაკე. აუშენოს მას ატელიე: ეს იქნება საუკეთესო საჩუქარი. იგი იქნება, „სამუშაოს“ გარდა ისეთი ადგილი, საცა ყოველი ქართველი ხელოვანი მონახავს კუთხეს ესტეტიური გართობისთვის. ხელოვნების საქმეა თავს იდვან ატელიეს გამართვა:— მივართვათ „ჟაკოს“ ძმური ყვავილი.

გრიგოლ რობაქიძე.

## იაკობ ნიკოლაძე.

საქართველო გასაკვირველი ქვეყანაა და ხალხი კიდევ საოცარი! მიუხედავად თავისი მცირე რიცხვისა, მან დასძლია დიდი ისტორიული დაბრკოლებანი, და დღეს მისი კულტურა მაღალ დონეზეა დამდგარი ქართული ლიტერატურა—პოეზია და პროზა დიდი სამკაულია ამაყი ქართველი ერის. ქართველ თეატრს აქვს მაღალი კულტურა სცენიური ხელოვნების მუსიკა ამოუწურავი საგანძურია, მხატვრობა ფიროსმანიშვილის ჰენიის და სხვა ევროპიულად აღზრდილ მხატვრების სახით და ქართული სკულპტურა, რომელიც გააცოცხლა იაკობ ნიკოლაძემ

ნიჭიერი ახალგაზდა იაკობ ნიკოლაძე სწავლის დაწყებისას, მიდის პარიზს, როცა როდენის შემოქმედების დიდი გავლენა ჰქონდა მთელს ევროპაზე. მგძნობიარე არტისტი მთელი ახალგაზდური ცეცხლით დგება როდენის გზაზე რის გავლენას ნაწილობრივ აქამდისაც განიცდის. თანამედროვე ხელოვნებაში არის მრავალი საერთო ხაზი, საერთო სტილი, საერთო ძიებანი, შეიძლება პირველ შეხედვაზე სრულიადაც შეუმჩნეველი თანამედროვე ფორმის ზოგადი პრინციპია იმპრესსიონიზმი და სიმბოლო იდეური სიმბოლო კი არა, არამედ ხილული სამყაროს დიდი გამოსახვის სიმბოლო. მაგალითად ნიკოლაძის რეალისტური პორტრეტები თვალწინ გვიდგება არა როგორც ცალკე სახეები, არამედ როგორც ზოგადი დახასიათება სიმბოლო საქართველოს მრავალსახის.

როდენმა მაშინ. დაიმორჩილა თანამედროვეები ის—როგორც სწერს ცნობილი გერმანელი სამხატრო კრიტიკოსი მენტრ გრეოფ: არა თუ განხორციელება ფრანგული ტრადიციისა კლასიციზმიდან ადუღებულ ბოროკოკომდე, იგი თითონ სიმბოლოა საფრანგეთისა, როგორც ფაუსტი გერმანიისთვის“ საერთო ძიებანი სკულპტურაში.

სხვა და სხვა ქვეყნების ოსტატებს რო აერთებს. ჰქმნის სკულპტურას თითქოს ინტერნაციონალ ხელოვნებათ. საერთო მიზანია მოძებნა ტიპის ფსიხოლოგიის, ერთსახეში მთელი ეპოქის გრძნობის გადმოცემა, როგორც საბერძნეთში VI საუკუნეში ეძებდენ ადამიანის სხეულის გაერთპიროვნებას.

ტეხნიკური მიღწევანი გათანაბრებული იყო ხელოვნების შინაგან აზრთან გაჩნდა საერთო ტეხნიკური იმპრესსიონისტული ხერხი სკულპტურების, რომელიც აერთებდენ მრავალ ეპოქების მიბაძვას და უმორჩილებდენ მთელის ერთს პრინციპს, მაგრამ მისმა ბედნიერმა ნიჭმა უშველა მას. დაემატებინა მისთვის უკვე ახალი პრინციპები, რაც მის შემოქმედების აახლოებენ დღევანდელ დღის ძიებას. ეს არის კულტურა ფორმისა ფორმისათვის და მოძრაობა მოძრაობისთვის. იაკობ ნიკოლაძე რომლის კულტურული მნიშვნელობა განსაკუთრებით დიდია, უნდა შეფასდეს როგორც ნოვატორი და პიონერი თავისი ხელოვნებისა სამშობლოში.

დიდი მასსების და გრანდიოზულ ფორმების შემქნელმა არტისტმა იმავე მატერიალურ პირობების გამო,—რომლებიც ღუნავენ და ამსხვრევენ დიდ ტალანტებს,—უნდა შეზღუდოს თავის შემოქმედების მაშტაბი. მართალია ამ დანაკლისს ავსებენ ის პორტრეტები და პატარა ფიგურები, რომლებშიაც მოხერხებულად არის შედუღებული ფორმა შინაარსთა და სადაც ადამიანის სახის ფორმას მიმზიდველობა, იშლება უეცრად, როგორც ღვთიური ხმის გამოცხადება. მაგრამ, ვიმეორებ, უზარმა არ სახეების იდუმალი ძლიერება, და აგრეთვე დიდი სივრცეები რომლებიც მიჰქრიან თავშეუკავებლად ან კი განისვენებენ უძრავ ყოფით არი ბედნიერი შე-

საძლებლობა საქართველოს ამ მიქელ ანჯელოსთვის. მოგონება ბარელიევი რომელიც გამოჰქანდაკა არტისტმა თუხიდან ერთ სახლისთვის (ყოფილი წრე, რუსთაველის პროსპექტზე). დაუმთავრებელ შენობის უჩვეულო სიცივეში მუშაობას საშინელ მძიმე პირობებში შეიქმნა ეს გრანდიოზული ბარელიევი, რომელშიაც მოძრაობას პლასტიურობა შეხამებულია ფორმის სიმძლავრესთან და და რომლის კომპოზიციას ფანტაზიას გაკვირვებაში მოდის მნახველი სამწუხაროდ მოქანდაკის სურვილის გარეშე ამ ნაწარმოებმა ვერ შეამკო შენობა და ამრიგად ქალაქმა დაკარგა ეს ღირშესანიშნავი განძეულობა. იმ დროიდან სრულიადაც აღარ ყოფილა ცდა შეეკვეთათ რამე იაკობ ნიკოლაძისთვის, რომ მით მისცემოდა საშვალება საქართველოს სატახტო ქალაქს მიართვას ნამდვილ ხელოვნებას კულტურის მაგივრად ყოველგვარ მფარველობას უწევენ ვილაც უცხო უვიც დელეტანტებს რომელთათვის ქანდაკების წარმოებაში მოწაფის ცოდნა მიუღწეველ იდეალს შეადგენს.

იაკობ ნიკოლაძის შემოქმედების გვირგვინად უნდა ჩაითვალოს ბიუსტი აკაკი წერეთლის. თქვენ ალტაცებაში მოჰყვხართ ამ გამოჭრილს ქვას რომელიც თრთის სიცოცხლით და სილამაზით. რაოდენი გამოსახვით იძალაა და რა დიდი ღვთიური შემოქმედებაა აქ დაგროვილი. ეს ბიუსტი იწვევს საკვირველებას თავისი ოსტატობით და თავისუფლობით. მსხვილი მასსა დატვირთული არ არის მოსაწყენი დეტალებით. კონტურების პლასტიური კეთილშობილება ავსებს პოეტის ღვთიურობით გავსილ სახეს. ი. ნიკოლაძის ყველაზე შესამჩნევი ნამუშევარია ილია ჭავჭავაძის საფლავზე დამდგარი იმისი „საქართველოს მწუხარება“ აქ სწორი კომპოზიციით არი დალაგებული არხიტექტორული მასსები—მშვენიერი ანსამბლი წმინდა ხაზების. აქ გამოსახულია ზედმიწევნილი სევდა მწუხარე სამშობლოსა

ახლა მეტრი ასრულებს კ. მარქსის გრანდიოზულ სურათს და წინდაწინვე შეიძლება ითქვას, ეს იქნება მისი საუკეთესო ნამუშევარი.

პორტრეტი—ბიუსტი—აი უმეტესი რიცხვი მისი ნამუშევრების. რამდენი სხვა და სხვაობაა ხასიათების რამდენი ვარიანტებია, მატერიალსა და სისტემაში.

სალომე იოქანანის თავით, (მარმარილო) პორტრეტი თამარ ყაჩჩელის (ტერრაკოტა)—სახე ქართულ სევდის. თავი ჩრდილოელი ქალწულის სადაც ყინულის სიმკაცრე ნორვეგიის აჟრიალებს მაყურებელს. პორტრეტები პროფ. მელიქიშვილს, ღამბარაშვილს, თორომანოვის, პოეტი გაფრინდაშვილს და სხვ. აქ ჩამოთვლილია მცირე რიცხვი. დაუმატებთ მრავალ პროექტებს—პარიზის კომუნის გმირები, თავისუფალი საქართველო და სხ. ეს პატარა ფიგურები ცოცხლობენ და მოძრაობენ. კომპოზიცია მეტად გამომხატველია და ლაკონიური. ძალიან სამწუხაროა, რომ ამ ნაწარმოებებით არ არი დამშვენებული ქალაქი. ქვის ფიგურა დაღლილი გურულის, (ბარელიეფი ძეგლისთვის) დასვენების პოზით, რომელსაც ალტაცებაში მოჰყვხართ მუსაულატურისა და ანატომიის ცოდნით.

უკანასკნელი ნაწარმოებები გვაჯერებენ უფრო დიდს ოსტატობას. ქმედითი სული არ სტოვებს გიპსს და ქვას. იმ უკეთეს სამუშაო პირობებში რომელსაც საქართველო ჰპირდება ი. ნიკოლაძეს, ჩვენ დავინახავთ მის შედევრებს, რის თავდებია მისი დიდი ოსტატობა და ღვთივშემოსილობა.

სამშობლო საქართველო—დღეს ღვთიურ სიხარულშია. მზე ანათებს მთებსა და მინდვრებს. დღეს ადიდებენ, ვინც სამუდამოდ დარჩება ერის ნათელ ისტორიაში.

კირილლ ზდ ნევიჩი.



იაკობ ნიკოლაძე ,,ბახტრიონის'' რედაქციაში

დგანან: მხატვარი კირილ ზდანევიჩი, ვალერიან გაფრინდაშვილი, პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე.

სხედან: ვასილ ბარნოვი, “ბახტრიონის“ რედაქტორი—გიორგი ლეონიძე, იაკობ ნიკოლაძე.

# იაკობ ნიკოლაძე

იუბილესთვის

იაკობ ნიკოლაძეს იუბილე არა ჰგავს ჩვენში გახშირებულ ხათრით და მოვალეობით გამართულ იუბილეებს. ეს არი დაფასება ნიჭის, არტისციზმის შემოქმედების, მთელი ერის მასშტაბით. ეს არის იმავე დროს დღესასწაული ქართულ ქანდაკების, რომელიც იაკობ ნიკოლაძით იწყება საქართველოში. მაშინ როდესაც მწერლობა მხატვრობის და რამოდენიმეთ თეატრის ტრადიცია ძლიერი იყო, ჩვენ მეოცე საუკუნემდის არა გვქონია არც ერთი ოპერა და არც ერთი ქანდაკების ძეგლი. უსათუოდ ოპერის ისტორია იწყება ,,აბესალომ და ეთერით'', ისე როგორც ძეგლი ილია ჭავჭავაძისთვის არის პირველი მაგალითი ქართულ შემოქმედების, თანამედროვე, ევროპიულ გაგებით. ამისათვის ეძლევა ნიკოლაძის იუბილეს ორნაირი შინაარსი.

როდენის არჩეულ მოწაფეს, საქართველოში არ დახვდა პირობები, თავის ნიჭის და ცოდნით დიდათ გაღრმავებისათვის, მასაც ეწვია ბედი ყველა ნიჭიერ ქართველის: პირველად ხმაურით და ენტუსიაზმით შეხვედრა მაგრამ მიღებისა და დაფასების მეორე დღესვე, გულ გრილად და ფუქსავატურად მოპყრობა. ჩვენდა საბედნიეროდ. ჩვენ პოეტებს ეს საყვედური არ გვეთქმის. დიდის სიყვარულით, პატივისცემით და ღირსეულ დაფასებით ვხვდებოდით ჩვენ ი. ნიკოლაძესყოველთვის. დაუვიწყარია ჩვენთვის მასთან მეგობრობა, მისი ჭკუამახვილობა და მისი არტისტიული პათოსი.

მიუხედავათ ბევრი საყვედურისა, რომლითაც პირველი ქართველი მოქანდაკე იგონებდა თავის გაგიჟებამდის საყვარელ სამშობლოს, არასოდეს არ ჰქონია სურვილი დეზერტირობის, თუმცა შეიძლება იმავე პარიზში მას გაჩენოდა მეტი თაყვანისმცემელი და დამფასებელი ყოველ შემთხვევაში პარიზში იგი ნახავდა მხატვრულ ცხოვრების პირობებს. რაც მას თბილისში ყოველთვის აკლდა.

ნახევარი საუკუნე თავის შემოქმედებისა, ძვირფასმა არტისტმა, უკვე დაასრულა. საჭიროა მისი გადახალისება. მას, როგორც შეიძლება არც ერთს ახალგაზდას სჭირდება ყურადღება, მოფერება და ევროპა ის ბავშობიდან ნატრობდა რუსთაველისთვის ძეგლის აგებას, საჭიროა განახლედა, რომ ეს ოცნება გამართლდეს, და მართლა საოცნებოდ გახადოს, თბილისი რომელსაც რუსთაველის ძეგლი აკლია, როგორც თავისუფლება. ამ ბედნიერების იმედი აქვს ჩვენს იუბილიარს. მაგრამ ეს სანატრელი დღეც რომ არ დადგეს იაკობ ნიკოლაძეს არ დაივიწყებს ქართველი ერი, და ქართულ ქანდაკების ისტორიაში მის სახელს მოიგონებენ ისე, როგორც თანამედროვე კულტურა იგონებს გუტემბერგს, სტამბის გამომგონებელს

პაოლო იაშვილი.

# იაკობ ნიკოლაძე

იაკობ ნიკოლაძე დაიბადა 1876 წელს ქუთაისში ვაჭრის ივანე მათესძე (მამუკაშვილი) ნიკოლაძის ოჯახში.

იაკობი ოჯახში მეთორმეტე შვილია და მას, როგორც ბენიამენს, შინაობაში განსაკუთრებული ყურადღებით და სიყვარულით ექცეოდენ.. 1883 წელს შედის ქუთაისის გიმეაზიაში. აქ მას ყველა საგნებში ცუდი ნიშნები ჰყავს, რუსული სრულებით არ ესმის და იძულებული, ხდება გიმნაზია პირველ კლასიდანვე დასტოვოს და გადავიდეს მისივე ძმიდგან გამართულს ბათომის სახელოსნო სასწავლებელში. აქედან თავისი ძმის ვასილის და ვინმე რუსი ინჟენერ-ტეხნიკის დახმარებით რომელიც მას კეთილ ჰენიათ აღმოუჩნდა, იაკობ გაემგზავრა მოსკოვს გრაფის სტროგონოვის სახელობის „ტეხნიკური ხატვის სასწავლებელში“ სადაც დაჰყო ოთხი წელიწადი აქედან გადადის ადესის სამხატრო სკოლაში. აქ მას ჰხვდება მეორე მეორე მეგობარი ქართველი კათოლიკე სერაფიმ პოპოლიკაშვილი, მატროსი, რომელმაც ყველა ზღვები მოიარა და მოქანდაკე! რომლის რჩევით იაკობ სამუდამოთ დაადგა სკულპტურის ძნელს გზას.

სულ პირველად, იაკობი საშინელი ეჭვებით არის მოცული, რო მას სრულიად არ შესწევს ძალა მექონდაკეობის და ერთი რუსის მოქანდაკის „იოანე მრისხანესთან“ ყოველ დღე ჩერდება მთელი საათობით და ყოველდღე და...ცხებულივით ბრუნდება უკან.

მის ეჭვიანობას აძლიერებდა სასწავლებლის ზედამხედველის საქციელი, რომელსაც იაკობი, როგორც ქართველი, არ უყვარდა და ურჩია თავი დაენებებინა ასეთ ,,უნაზეს ხელოვნებისათვის''.

მაგრამ ჰენია დლითი დღე იჩენს თავს და იაკობ, უკვ ადესაში გადასული, სიამაყეა, როგორი სკოლის ისე ამხანაგების.

პირველი შემოქმედებით ის ევლინება ქართულ საზოგადოებას 1897 წ. როცა ის, 21 წლისა, დიდების ტაძართან გამოაფენს შოთა რუსთაველთა უზარმაზარ სტატუიას. ახალგაზდა მოქანდაკეს გულწრფელად ულოცავენ თბილისის მაშინდელი კერპები: გიგო გაბაშვილი და მოხუცებული სკულპტარი ხოდოროვიჩი, რომელმაც თბილისში დადგა ძეგლები პუშკინის და გოგოლის. მაგრამ არა სჩანს ქართული საზოგადოება.

რუსთაველის სტატუიას ფასად აქვს დაწერილი 300 მანეთი და ილია ჭავჭავაძე ბრძანებს: ,,სულ ერთია, ხომ არავინ იყიდის, წერა კითხვის საზოგადოებას შემოსწიროს''. მაგრამ იაკობი ამბობს: ,,მე დავამტრევ ჩემს ქანდაგებას და კი არ შევწირავ'' იმიტომ რომ ყრუ იყო ქართული საზოგადოება და ,,ცივი ილიაც. ურომლისოდ ერთი ქართველი ახალგაზდ ვერ გამოვა ასპარეზზე, სრული გულგრილობით ჰხვდება მას.

შემდეგში კიდევ, როცა იაკობი 25 მანეთით დახმარებას სთხოვს დ. სარაჯიშვილის მაშინდელ ,,ნარკომპროსს'' ნიკო ცხვედაძეს, იგი უპასუხებს: ,,ჩვენ მარტო სტუდენტებს ვაგზანით''.

1902 წ. იმართება მეორე გამოფენა და აიკობ ნიკოლაძე ნობელის პავილიონში გამოაფენს ექვს არშინიან სტატუებს: ,,მრეწველობა და ტეხნიკა'' აქვეა: მისი ,,ხევსური'' და რამოდენიმე სხვა ქანდაკიც. იაკობ იღებს ვერცხლის დიდ მედალს და ხოდოროვიჩიც ასე მიმართავს:

— თქვენ, ყმაწვილო, სიხარულით გეგებებით. თქვენი ქანდაკებები სუნთქავენ, გრძნობენ და თქვენგან უფრო მეტსაც მოველით. მაგრამ ქართველობა ისევ ბრმაა რომ დაინახოს თავისი პირველი მოქანდაკე—იაკობ ნიკოლაძე.

ამავე წელს ს. ქისტაურში გარდაიცვალა პოეტი რაფიელი ერისთავი. დამკრძალავ კომიტეტს წარუდგება იაკობი და წინადადებას აძლევს, გაგზავნონ თელავში გადსაღებად მიცვალებულის ნიღაბი.

მუდამ ხელ მოჭერილი ილია ჰკითხავს:

— რამდენი ეღირება?

აქ იაკობს პასუხსაც არ აცლიან და სოსიკო მერკვილაძე სხაპასხუპით იტყვის:

— რა ფული მოუნდება, ბატონო, აქედან გზა—ოთხი მანეთი, იქიდანაც ოთხი მანეთი, და თელავშიც ხარჯად სამი მანეთი'' დავით სარაჯიშვილი, ამოიღებს ხუთმეტ მანეთს და გადასცემს იაკობს. იაკობი მალე ბრუნდება თელავიდან გადაღებული ნიღაბით და ილია ეკითხება: ,,ყმაწვილო, რა უყავი რაფიელის ბიუსტი?

იაკობ უპასუხებს; ,,ხუთმეტ მანეთად ბიუსტის გაკეთება შეუძლებელია''.

საქართველოში მას არავინ იღებს და მხოლოდ ერთად ერთი და მუდამ გიგო დიასამიძე უკვეთავს თავის გადაცვლილ დედის ქანდაკს. იაკობი ცოტათი გამხნევებული მუშაობს გიგოსთან სოფ. ბრილში. ერთხელ მის ნამუშავარს შემთხვევით დაჰხედავენ მეზობელი გლეხები. კარგა ხნის ყურადღებით გასინჯვის და მოწონების მერე მოხუცებული გლეხი, ეუბნება მეორე ახალგაზდა გლეხს:

,,ეს უბრალო რამე კი არ გეგონოს, ეს მაღლიდან არის''.

ეს იყო პირველი დიდი ატესტაცია იაკობის. ატესტაცია გამოსული საქართველოს ხალხის სიღრმიდან რამაც სამუდამოთ გაშალა იაკობის გზები.

— ამ გლეხის სიტყვას მივყევარ და ეს არის საუკეთესო ჩემი გამხნევება — ამბობს იაკობ.

ქართველი საზოგადოების გულგრილობა კიდევ არა ნელდება. საჭიროა ჩამოსხა ქანდაკება ყველა წარჩინებული ქართველის, მწერლის, საზოგადო მოღვაწის, რომ გიცნონ და გაღიარონ.

ტვირთი საშინელია უნდა იყო. დურგალი, ზეინკალი, კალატოზი, პედაგოგი, საჭიროა ღვთიერი სახსარი. იმედი არსაიდან სჩანს და იაკობი სდგება ავად ,,შავი მელანხორიით''. უიმედობა და უიმედო სიყვარული ქალის, აძლიერებენ ამ ავადმყოფობას.

იაკობი აბასთუმაეშია სამკურნალოდ. აქ მოევლინება მას კეთილი ჰენია—ტასო მაჩაბელი, რომელიც თავისი ნათლია გავლენით მოაბრუნებე იაკობს. ეს გავლენა შემდეგმაც არ გათავებულა და იაკობი განსაკუთრებული სინაზით და პატივისცემით იგონებს ამ სახელს.

1905 წელს იაკობ ნიკოლაძე მეორედ მიდის პარიზში. აქ არის მისი შეხვედრა როდენთან.

— სქესი თვე ფული არ მიმელო, თავი მიხურდა. გამხდარი, გაყვითლებული წარუდექ როდენს და როდენმა ჩემა ნამუშავარს ხელი მოაწერა. როდენთან მე დიდი სიამაყე ვიგრძენ- თუ როდენმა ერთი ხელმთ მოაწერა, მე ორივ ხელით ვაწერდი ხელს ჩემს თავს და მაშინ ვიგრძენი, რომ მე ვარ ერის მოქანდაკე.

პარიზის სალონში მიმიღეს ჩემა ნამუშავარების ძალით, ჩემი მხატრული პატიოსნებით.

იაკობი სალონში მიიღეს დიდი სიყვარულით. აქ არი დღე და ღამე და თვიურად ეძლევოდა 500 ფრანკი.

ქართულმა გაზეთებმა მაშინვე აუწყეს რომ ,,თანამემამულე იაკობ ნიკოლაძე მიუღიათ პარიზის სალონში და დიდს იმედებს იძლევაო''.

ამ რიგათ იაკობ ნიკოლაძე გახდა მემკვიდრე ბექა ოპიზარის და ბასილი ხურციძის. შვიდი საუკუნე ეძინა ქართულ ქვას იგი ელოდა იაკობს.

იაკობმა დაჰყო პარიზში 8 წელი, აქედან შვიდითვე ტოსკანაში და 1910 წ. სამუდამოდ ჩამოდის თბილისში. გარდა იმ ორი თვის ემიგრანტობისა, რომელიც 1921 წ. მან გაატარა კონსტანტინოპოლის წმ. ნინოს მონასტერში.

საქართველოს დამოუკიდებლობამ იაკობს ახალი ცეცხლის ღვრიტა ჩაუსხა სულში მაშინ იაკობ ნიკოლაძე ქუჩებში ყველა გამოვლელ გამოვლელ ქართველს ჰკოცნიდა ცრემლებით და ეხლაც მისი სიტყვებია:

— ერის დამოუკიდებლობას, მე ვგრძნობ როგორც ჩემს დამოუკიდებლობას''.

გიორგი ლეონიძე

# როდენთან.

პირველი ნამუშევარი როდენისგან მოცემული იყო „იოანე ნათლის მცემელის თავი ლანგარზე“. ქანდაკება უნდა გამეკეთებინა მარმარილოში. ორმოც დღეში მე გავაკეთე ეს ქანდაკება და მალე პარიზის ქართულსა და რუსულ კოლონიაში ხმა გავარდა, რომ მე როდენისაგან მოცემული სამუშაო დავათავე და რომ ის გავაკეთე მარმარილოში.

შეგროვდენ ჩემი მტრები და მეგობრები ერთად და მოვიდნენ ჩემთან ატელიეში ნამდვილი ამბის გასაგებად. ჩემს თანამემამულეთ, რასაკვირველია უხაროდათ, მაგრამ უცხო ტომის კონკურენტები, რომელთაც თითონიც უნდოდათ როდენთან მუშაობა, ამბობდნენ, რომ ამ სამუშაოს ვერ შევასრულებდი, და რომ მეტს სამუშაოსაც როდენიდან ვერ მივიღებდი.

მეც რყევაში ვიყავ, მაგრამ ბოლოს დიდი ენტუზიაზმით შეუდექი მუშაობას.

როცა მოვიფიქრე, ავწონ-დავწონე, როგორ უნდა შევდგომოდი მუშაობას, ერთი აზრი მომივიდა თავში: ეს აზრი პრობლემად დავისახე. როდენის ნამუშევარი ალებასტრში გაკეთებული: ,,იოანეს თავი'' იყო ძველი ნამუშევარი, ახალგაზდობისა, სადაც ეხლანდელი როდენის ხელი არ სჩანდა, ეხლანდელ მის პრინციპებს არ ეთანხმებოდა. მე გადავწყვიტე მარმარილოში ახალი როდენის პრინციპებით გამომეკვეთა ეს თავი. მეც ჯერ იოანე ნათლიმცემლის მასკა გამოვარღვიე მარმარილოდან, თმები ოდნავ დაუნიშნე და დანარჩენი ლოდი დავტოვე ისე, როგორც იყო. ამითი ხელოვნების და ველური ბუნების ბრძოლა უფრო გამწვავებული დარჩა.

დაწვრილებით არ გავყოლილვარ, ბევრ რამეს არ მივაქციე ჩურადღება და ისე მივატოვე. ეს ის მანერაა როდენის, რომელიც ამწვავებს მაყურებლის გრძნობას შემოქმედებისაკენ.

როდესაც გავაკეთე, როდენს გაუგზავნე წერილი, რომ ნამუშევარი მზად არის მეთქი, წერილი მისთვის გაუგზავნე როდენს, რომ თითონვე მითხრა: როცა გაათავო, შემატყობინე და მოვალ ვნახამო.

როდენის სეკრეტარიდან დეპეშა მომივიდა:

,,ხვალ წაიღეთ ნამუშევარი როდენის ატელიეში, უნივერსიტეტის ქუჩაზე"-ო...

მეც მეორე დღეს ჩემი ნამუშევარი მივართვი როდენს.

ატელიეში რო შევედი, როდენი იჯდა თავისი ,,ჯოჯოხეთის კარებთან'' (მისი საუკეთესო ქანდაკება) და ჩემი ნამუშევარიც იმ კარების წინ დავდგი.

ვიფიქრე: ვაი თუ ისე მაქვს გაკეთებული, რომ ჩემი ქანდაკებითურთ, ერთად ამ კარებში შემისროლოს მეთქი''.

გვერდში უჯდა საფრანგეთის გამოჩენილი ხელოვნების კრიტიკოსი—ფურნიე...

როდენმა მანიშნა, დამედგა. და მეც ავხადე ქანდაკებას, მოკრძალებით განზე გავდექი და დავუწყე ცდა.

ეს ორი ადამიანი ყურადღებას არ მაქცევდნენ და ბაასში იყვნენ გართულნი. მერე როდენი მოვიდა ჩემთან და მითხრა, რომ დამეტოვებინა და ანგარიში წარმედგინა.

მე, როგორც ქართველი და ისიც ხელოვანი, ამ ,,ანგარიშმა'' ცუდ გუნებაზე დამაყენა. მაგრამ გაუბედე და უთხარი:

— ძვირფასო ოსტატო, თქვენ დამპირდით ამ ნამუშევარის შესრულების შემდეგ, თქვენი აზრი გამოგეთქვათ, რაც ჩემთვის ძვირფასი არის''.

მან მოკლეთ განიმეორა ორჯერ: ,,ძალიან კარგია''

მე გამოველი ატელიედან და სახლისკენ გავეშურე. ტროტუარი ადიოდა და ჩადიოდა. არ ვიცოდი სად წავსულიყავი. უფრო იმას ვფიქრობდი: ვაი თუ ფრანგული კომპლიმენტი იყო მეთქი“.

ორი სამი დღის შემდეგ გოლუბევის ოჯახობიდან (როდენთან მათი რეკომენდაციით ვიყავ მისული) შემომითვალეს, რომ როდენს ძალიან მოსწონებია შენი ნამუშევარი და კიდევ აპირებს ახალი საქმეების მოცემასო.

ერთი კვირის შემდეგ, უფულობისგან შეწუხებულმა გავბედე და როდენს ჩემი ანგარიში გავუგზავნე.

პასუხი არავითარი არ მომივიდა და სამი კვირის უკან იძულებული გავხდი, მე წარვდგომოდი მედონში.

აქ მითხრეს: „როდენი წავიდა პარიზში და აქ მარტო მისი სეკრეტარიაო“. მეც ძალიან გამეხარდა, რადგან ამ შემთხვევაში როდენის სეკრეტარის ნახვა უფრო მიადვილდებოდა და მიველი მასთან. სეკრეტარი გამოცვლილიყო და დამხვდა რენე-შერვი, რომელიც შემდგომში ჩემი პირადი მეგობარი შეიქნა.

მან რომ გაიგო, თუ რისთვის მიველი. დიდის ბოდიშით მითხრა: „დამნაშავე ვარ. ჩეკი, რომელიც უკვე მზად არის ვერ გამოვგზავნეო და იქვე გადმომცა ჩეკი 600 ფრანკისა. (ალჟირის საკრედიტო ბანკიდან.) მეც ძალიან გახარებული დავრჩი და ვფიქრობდი: როდენი მომცემს რამე სამუშაოს თუ არა. ორი კვირის განმავლობაში პარიზის უნივერსიტეტის ქუჩაზე როდენის ატე-

ლიეს კარებთან, მივდიოდი დაკაკუნებას ვერ ვბედავდი და უკანვე ვბრუნდებოდი. მაგრამ ერთხელ. როცა კიდევ ვაპირებდი როდენთან წასვლას, ჩემთან შემოვიდა ის ახალგაზდა პესიმისტი მოქანდაკე, რომელიც ამბობდა, რომ როდენს შენი ნამუშევარი არ მოეწონებაო. მე უთხარი ამაყად: როდენთან მივდივარ მეთქი. მან სთქვა: მეც სწორედ იქ წავალ, საქმე მაქვს როდენთან და მისი ნახვა ძალიან მინდაო. მე უთხარი, რომ ის ცალკე წასულიყო და თანაც ვფიქრობდი, რომ მე მარკ-ტვენის ძაღლს არ დავმზგავსებულიყავ. მაგრამ როდესაც როდენის კარებთან მიველით, ის მოშორებით დადგა, მე კი გზა აღარ მქონდა, უნდა დამეკაკუნებინა. გაიღო კარები და ინგლისელი ქალი ღიმილით შემეგება—ვინ გინდათო. მე უთხარი, ვისი ნახვაც მინდოდა. ქალის ღიმილმა გული გამიკეთა და მეც დამშვიდებული შევხვდი, როცა როდენი მოადგა კარებს. ისიც მომხიბლავ ღიმილით შემხვდა, არ დამაცალა სიტყვა და პირდაპირ მკითხა:

— დილას ადრე დგებით, შეგიძლიანთ დილას ადრე ადგეთ?

— როგორ არ შემიძლიან—უპასუხე მე...

— მაშ ხვალ რვა საათზე იყავით მედონში.

იაკობ ნიკოლაძე.

—

**რედაქციისაგან:** ბ. იაკობ ნიკოლაძე ჩვენს გაზეთში დაბეჭდავს წერილების სერიას: „მოგონებანი როდენზე“.

## კულტურულ აღორძინებისათვის.

უკანასკნელ წლებიდან საქართველოს კულტურული აღორძინება დიდი ნაბიჯებით მიექანება წინ. მიძინებული ეროვნული შეგნება ილვიძებს დ[ა]ქარ. ხალხის ძვალ-რბილში მტკიცდება. დღეს დაჩაგრულე რთა განთავისუფლება და აღორძინება საერთო მოვლენაა; ამ ფერხულშია ჩაბმული ქართველი ხალხი; მაგრამ პროცესი კულტურულ—პოლიტიკურ ემანსიპაციისა არც ისე ხანმოკლე და სადაა, როგორც ეს სასურველია: მშობიარობის პროცესი დიდ ტკივილებსა და მსხვერპლს მოითხოვს კულტურული სიძლიერე უძლიერესი იარაღია დაჩაგრულ ერის ხელში დამჩაგვრელთა წინაამდეგ. ჩაგრულ-მჩაგვრელთა შორის საბოლოოდ იმარჯვებს არა ის, ვინც დიდტანიანი და ძლიერია ფიზიკურად, არამედ ვის მხარეზეც არის კულტურული და ზნეობრივი პირველობა. ამის მაგალითს ისტორიის ფურცლებზე ბევრს ვნახავთ: გერმანიის იმპერატორებმა საუკუნოების განმავლობაში ვერ შესძლეს მოწინავე იტალიის მოგრეხა; მცირე, მაგრამ კულტურულად და სულით ძლიერი ნიდერლანდია ათეული წლებითნა დგურდებოდა და სისხლისგან იცლებოდა და მპყრობელ ისპანელების წინააღმდეგ ბრძოლაში და გაიმარჯვა. ჩეხებმა და სხვა პატარა ერებმა მტკიცეთ გადაიტანეს ჰამსბურგთა მოძველებული ტახტი; პოლონელებმაც მამაცურად აზიდეს რუსებისა და გერმანელების ბატონობა სწორეთ თავისი კულტურული და ეროვნული სიმტკიცის წყალობით. მათში კულტურულმა სიმაღლემ განვითარა იშვიათი ეროვრული თავმოყვარეობაც

ქართველი რასსაც უდრეკ ხერხემლიან მოდგმას უნდა ეკუთნოდეს რომ ათეული საუკუნეების განმავლობაში მრავალ გვარ ბარბაროსთა ტალღებს გადაურჩა და მე XX ფეხი შემოსდგა. დღევანდლამდი ჩვენი მიღწევა უცილოთ ჩვენს წინაპარის კულტურულ უპირატესობას მიეწერება. ჩვენი წარსულის ცოცხალი ფრაგმენტი დღეს ფერეიდანია, რომელიც სამი საუკუნის განმავლობიში თავის ზურგზე განიცდის ქართველი ხალხის ტრაგედიას. ჩვენი წარსული კულტურული სიძლიერის ცოცხალი მაგალითია ისიც, რომ ამდენი ხნის განმავლობაში ამ ერთმა მუჭა ქირთველობამ ბაბაროსთა ტალღაში გადასროლილმა, ეროვნული ელფერი და ვინაობა დღემდის დაიცვა და შეინარჩუნა.

რამდენადაც სუსტდება დღეს ქართველი ხალხის ხელში პოლიტიკური საქმე, იმდენათ უფრო ხლიერია და მცკიცეთ გვმართებს კულტურულ ნიადაგზე მუშაობა უკანასკნელი 3—4 წლის განმავლობაში შევრი დაშორებული შვილი, რომელიც უცხო ცის ქვეშ ეწეოდა მუშაობას, დაუბრუნდა თავის ქვეყანას და თავისი ქვეყნის სასარგებლოდ ეწევა მშობლიურ ნიადაგზე კულტურულ აღორძინების საქმეს. მაგრამ დღემდისაც არიან ისეთნი, რომელნიც ილიას სიტყვებით რომ ვსთქვათ „მის დამღუპველ ოსმალეთს ამშვენებენ“. და რომელმა ქართველმა მეცნიერმა თუ ხელოვანმა აქამდე ვერ იგრძნო და ვერ შეიგნო რომ საჭიროა და ის მოვალეა დაბრუნდეს და ეროვნულ-კულტურულ ნიადაგზე იმუშაოს თავისი ხალხის საკეთილდღეოთ, ასეთი პირები უნდა გაიკიცხოს და შეაჩვენოს ხალხმა.

ყველაზე დიდ კრიზისს დღეს ქართული თეატრი განიცდის, რაც საზოგადოების ერთი ნაწილი უკიდურეს უიმედობამდიც კი მიიყვანა. „ცხერის წყაროს“ დადგმა მარჯანიშვილის მიერ ჩვენს უიმედობას ნიადაგს აცლის და იმედს გვაძლევს, რომ ამ დარგშიც შესაძლებელია დიდი მიღწევანი და ქართული დრამის რენესანსი; ამისი მასალა არის, საჭიროა მხოლოდ მცოდნე და ხელმძღვანელი. პაოლო იაშვილის სიტყვები თეატრში, მარჯანიშვილისადმი მიმართული რომ „ამის შემდეგ ქართული თეატრიდან გენდევნა ღალატია ქართველი საზოგადოებისაო“—გამოძახილი იყო მთელიხ ალხისა ყველას მიმართ, ვინც გაქცევია ქართულ საქმეს, ქართულ კულტურის სამსახურს,

ტ. ხუნდაძე

## ქართული პოეზია ბერძნულ ენაზე.

წერილი ათინიდან.

გიორგი ლეონიძემ ათინიდან მიიღო წერილი ბ-ნ ნიკოლოზ მათიკაშვილისაგან იმ ქართულ ლიტერატურულ ნაშთების შესახებ, რომელიც აღმოჩენილა ქ. ათინაში.

„შემთხვევით ერთ-ერთ ძველ ბერძნულ გაზეთში წავაწყდი შოთა რუსთაველის ბიოგრაფიას და მის ლექსებს არაბულიდან პროზათ ნათარგმნს, რომლებსაც ათავსებდა ვინმე კ. ტრიკილგიდისი.

ჩვენ მოვძებნეთ ეს კაცი და გამოვკითხეთ, თუ საიდან და რომელ წყაროდან გამონახა ესენი. ან იცის რამე კიდევ სხვა ძველ ქართულ მწერლობაზედ თუ არა?

მან სიტყვა-სიტყვით გვიპასუხა: „ეგვიპტეში ყოფნის დროს, ჩემმა მასწავლებელმა მაჩუქა ერთი არაბული წიგნი, რომელსაც არც თავი აქვს, არც ბოლო და რომელიც შეიცავს აღმოსავლეთის ერების ცნობილ მგოსანთა ნაწარმოებს. თუ რომელ საუკუნეშია წიგნი გამოცემული, ძნელი გამოსაცნობია, მაგრამ ეტყობა ძალიან ძველი უნდა იყოსო. ამ წიგნში მოთავსებულია შოთას ორი ლექსი: „ურნი სამოთხისა“ და „სიმღერა“ მისივე მოკლე ბიოგრაფიით, რომელშიაც სწერია, რომ შოთა იყო თამარ მეფის მთავარ სარდალი, რომ ის გადიცვალა და დამარხულია ქალ. თბილისშიო.

შოთას ლექსებთან არის ორი უცნობ ქართველი პოეტის ლექსი: „ერთი ამბორისთვის“ და „ჩვენი სიყვარული“.

ჩვენ თხოვნაზედ, რომ ეჩვენებინა, ან მოეყიდნა ის წიგნი, გვიპასუხა, რომ შეუძლებელია ამოტელა წიგნებში (რაც მე მაქვს) მისი პოვნაო და თქვენ თხოვნას ვერ აგისრულებთო. როგორც ეტყობა ბევრი ფული უნდა და ამისათვის აძნელებს საქმეს.

ეს ზემო ჩამოთვლილი ლექსები ქართულიდან არაბულზედ ლექსათ ნათარგმნი, იქიდან ბერძნულზედ და შემდეგ ქართულზედ პროზათ გადმონათარგმნი, რაღა თქმა უნდა სულ დაჰკარგავდნენ თავის ღირებულებას, მაგრამ მაინც იქნება კიდევ შერჩენოდეს რაიმე ფასი, ვინაიდან რამდენადაც მე ვიცი, ესენი ქართულზედ არ მოგვეპოება.

აი ისინიც თარგმნა პ. აბულაძემ:

### ურნი სამოთხისა (შოთასი)

პროფიტის სამოთხეში არიან ასულნი
შექმნილნი ღვთის მიერ და საჩუქრად რჩეულთა,
რომლებიც დედა მიწაზედ მიყვებიან მის კანონს.
და ამ ასულთ ჰქვიან ურნი.
ყოველ დღე, განუწყვეტლივ იწვიან მწველ ხვევნაში
დაუსრულებელ სურვილს, რომელშიაც კვლავ იშვება
სურნელება მათი სიქალწულისა.
და ყოველ რიჟრაჟზედ, შემოქმედის მშვენიერებიდან
ახლათ პოულობენ თავის საუკეთესო ტრფობისათვის
ახალ სიქალწულეს.
სიქალწულეს გულისას, რომელსაც არა ყვარებია
სიქალწულეს აზრისა, რომელმაც არა იცის რა სიყვარულისა
სიქალწულეს ტანისა, რომელიც არ შეუპყრია მოგონებას
გუშინდელი ტკბობისა.
გუშინწინ ღამეს სიზმარი ჩემი გააოქროვა ამა სამოთხის
მზემ და თვალებმა ჩემმა, ვით შენ, სიზმარი ერთი სიზმრისა
იხილეს ის ასული, რომელთაც ეწოდებათ ურნი.
ო! რა მშვენივრები იყვნენ ასულნი და
იყვნენ თეთრნი ყვავილნი, ვარსკლავნი, სხივები, სურნელებანი
და რძე და თოვლი და სარო ტანი
და რადგან შენ გემსგავსებოდნენ ყველანი, მათ ახლო
მთელს საათს განვიცდიდი ტკბობას, რომელიც ყოველ წუთს
განახლებულათ იშვება და რომელსაც პროფიტი თავის რჩეულთ.
შენ გემსგავსებიან უსაყვარლესო ჩემო,
მაგრამ არც ერთს არ ჰქონდა თავის ტანში სხივები შენი, არც მოთენთილი მხრები შენი,
არც შეთოვლილი შენი ყელი. არც რძის ფეხი მკერდი შენი,
არც ერთს არ ჰქონდა ტუჩებში სურნელება შენი ვარდისფერ ბაგეებისა
არც ერთს არ ჰქონდა ვარსკვლავნი, რომელნიც შუქს აფრქვევენ შენ თვალებში.
არც ერთი არ იყო ასული, ვითარცა შენ:
არც ერთმა არ იცოდა ალერსი, როგორც ალერსობ შენ
არც ერთი, არც ერთი არ იყო ისეთი რომ განვეახლებინე
როგორც შენ, მწველო ხვევნავ სავსე შარბათით!
საკუთარი სულთქმა შენი რად შეუპყრია მოგონებას.
ჩვენი შორეული ხვევნა ტრფობისა და გული შენი ხშირათ
იგონებს, თუ როგორ შემიყვარე მე, და ტანი შენი შეუპყრია
ხსოვნას ჩვენი გუშინდელ ამბორისა და იცდის იმ წუთს.
ვით დააფრქვიოს ბაგეში სურნელება ყველა ძველი ჩვენი
ამბორისა, ამისთვის ჩემი სამოთხე არის აქ მიწაზე
შენ ჩრდილში, და სიყვარული მიღირს უფრო მეტათ,
ვიდრე სამოთხის ურნი.

——

### სიმღერა (შოთასი)

რად ამბობ და იმეორებ, რომ გსურს გამშორდე
სად ხარ შენ მშვენიერო ვით მზე, რომელიც ამოდის,
მზე ხომ არას დროს ესვენება და ანათებს მსოფლიოს.
რომ მეცხოვრა მთლად შესუდრულს შენს სხივებში,
მაინც სიხარულით შევირხეოდი ეკალთა შორის
და დავწყევლიდი ჩემს სულს იმ დღეს, როცა
თვალები ჩემი გადაჰკარგავდნენ თავის წინ შენ შუქს.

——

### ერთი ამბორისთვის.

(უცნობი ქართვ. პოეტისა).

ერთი შენი ამბორისთვის ჩემო ყველავ,
შენ ფერხთ ქვეშ გავაფენდი მთელს საუკუნეს ჩემი სულისას,
რომ მქონოდა მთელი სამყარო ჩემს მფლობელობაში
მთლად მსხვერპლად შევსწირავდი შენ საკუთარ სიყვარულს
და შენი სინარნარის ჩემ სევდასთან შეერთებას.
ოხ, რა ძნელია ფიქრი, რომ არ ძალგიძს შეუერთდე არს,
რომელსაც ეტრფი.
ერთი ამბორისთვის, რომელსაც შენ მოგართმევდი
ჩემო ყველავ შენ ფეხთ ქვეშ დავაფენდი მთელ
საუნჯეს ჩემი სულისას.
არ არსებობს უფრო შავი ტანჯვა, ვიდრე უიმედო სიყვარული
და აუსრულებელი სურვილი. მოგონება მღალავს და მოაქვს სიცხე.
ოხ! მოდი სატრფოვ ჩემო, მოქანცული ვლოდინობ და ვთრთი.
მოდი სიხარულის შუქით, და აღირსე ჩემს ხელებს,
რომ შეეხონ შენს ფერხთა ტერფის კიდეებს.
ერთი შენი ამბორისთვის რომ მიმელო შენი ბაგეებიდან,
ჩემო ყველავ! დავაფენდი შენ ფერხთ ქვეშ მთელ საუნჯეს ჩემი სულისას.
აჰაი უბედური გული ჩემი კვალათ ემსახურება შენ
გაცივებულ ტრფიალს, და არ იცის სიყვარული, ვით
საადი ვრჩები დაძირული სიმწარეში და ნაღველში.
მაგრამ ჩემი დაუსრულებელი სურვილი კვალად დარჩება,
ესე არს დაწერილი ბედისგან.
ერთ ამბორისთვის, რომ მღირსებოდა სატრფოს ბაგეთგან,
მის ფერხთ ქვეშ დავაფენდი მთელ საუკუნეს ჩემი სულისას.

——

### ჩვენი ტრფობა.

(უცნობი ქართველი პოეტის)

დავამწყვდიე სული ჩემი ერთ მშვენიერ ვარდში.
და ველარ ვიხილე ეს ვარდი, ვიცრემლე მთელი ღამე
მე მან მაგრძნობინა, რომ სურვილი ჩემი იყო მისი საკუთარი სურვილი
მაგრამ დავმალე ტრფობა ჩემი სულის სიღრმეში,
განკურნებანი და სინარნარენი იფრქვევიან მის შავ თვალებში,
ვით წყარო, აღელვებენ ჩემ უამრავ ტკბილ გრძნობებს.
თუ სად არის ჩემთვის წყარო ყრმობისა—ტრფობა მისი;
ეს ტრფობა დამალული მაქვს სულის ფსკერზედ.

ნიკოლოზ მათიკაშვილი.

ქ. ათინა.

### გახსოვს იაკობ?

I

დღე იყო მზიანი, შეგროვდა სოფელი,
გამოათრიეს კერპი პირველი,
კუნძი მუხისა ამოჭრილ—გათლილი,
ღმერთი შექმნილი ..
იქვე ხარ ოსტატი, თითქმის შეშლილი...

II

პირამიდის ჩრდილოში იჯექ, სფინქს თვალები აუხილე.
საუკუნე—მისთვის წუთი, შენთვის წუთი—საუკუნე...

III

ხელში აიღე მარმარილოს თეთრი ნატეხი,
დაჰკარ ჩაქუჩი შემოქმედი, ცეცხლის ფრქვეველი,
ბრწყინვალე მტვერში გაისმოდა გვრინვა და მეხი,
და ქარიშხალში დაიბადა ბელვედერელი...

სანდრო ცანჩელი.

## ახალ მწერალთა კავშირში.

### გრიგოლ რობაქიძის მოხსენება.

კვირას 3 დეკემბერს ხელოვანთა სასახლეში შესდგა მორიგი ესტეტიური საღამო. გრიგოლ რობაქიძემ წაიკითხა მოხსენება: „ზე-კაცი და იდეია მარადი მობრუნების“, ეს ლექცია პირველად გრიგოლ რობაქიძეს წაუკითხავს ლეიპციგში ხუთმეტი წლის წინად, 1911 წელს საქართველოში, გაიმეორა ამ დღეს. დასამტკიცებლათ იმისა, რომ ის პირველი დებულებანი, რომელნიც წარმოდგენილი იყვენ ავტორისგან წინათ, ეხლა უფრო მტკიცდებიან უახლოეს გამოკვლევები ნიცშეს შესახებ. ამ თხუზულებიდან გრიგოლ რობაქიძემ დაასახელა პროფ. თადეი ზელინსკის წუნი „ნიცშე და ანტიურობა“ დავიაჩესლავ ივანოვის გამოკვლევა „რელიგია წამებულ ღმერთის დიონისოს“. ვიაჩესლავ ივანოვის მტკიცებას არ იღებს გრიგოლ როაბქიძე მარადის მობრუნების იდეის ახსნაში და თვითონ იძლევა საკუთარ ახსნას, რომელიც უნდა ჩაითვალოს პირველ ახსნათ და ამასთან ზედმეტ ორიგინალურად. მიუხედავათ იმისა რომ გრიგოლ რობაქიძე ამ საღამოს ლაპარაკობდა პარადოკსებით, მას მოკამათე, როგორც თითქმის ყოველთვის ხელოვანთა სასახლეში არ გამოჩენია, ამ ღამეს ახალგაზრდებიც მოერიდენ დეკლარაციას. მოხსენებამ გასტანა სამ საათზე მეტი და მოსმენილი იქნა იმ ყურადღებით, რომლითაც მხოლოდ გრიგოლ რობაქიძეს უსმენენ საქართველოში. საზოგადოებას მოხსენებას აუარებელი დაესწრო. ეს მოხსენება გრიგოლ რობაქიძის. ნაწილია წიგნის რომელიც მას აქვს დამზადებული ნიცშეზე და რომელიც ერთდაიმავე დროს უნდა გამოვიდენ ქართულად, რუსულად და გერმანულად. ამ წიგნში იქნება აგრეთვე ცალკე თავი, რომელიც შარშან წაკითხულ იქნა ხელოვანთა სასახლეში და წინად დაბეჭდილი—„საქართველოში“: „დიონისოს კულტი საქართველოში“ ეს გამოკვლევა შევსებულია სრულად ახალი მასალებით და იწვევს დიდ ინტერესს, როგორც ახალი გამოკვლევა.

## ივ. ფალიაშვილი

### ქართულ ოპერის წარსულიდან

პირველად მოვისმინე წელს „პიკის ქალი“ პირველად ვნახე წელს ვანო ფალიაშვილის ლოტბარობაც. მე და ვანო ფალიაშვილს იმავე თეატრში ერთად გვიმსახურია, ავიც და კარგიც ვ. ფალიაშვილისა როგორც ლოტბარისა მე კარგად მქონდა აწონილ დაწონილი. ამას მოგახსენებთ მე დიდის ხნის წარსულიდან.

ერთხელ ვანო ფალიაშვილი თვალიდან დავკარგეთ, გავიგეთ რომ მან რუსეთში ამოყო თავი და რუსეთის ქალაქებში განაგრძობდა მუშაობას. ჩვენ თვალსა და ყურს ვადევნებდით მის ლოტბარობას ამ დარგში და ვფიქრობდით, რომ ის კვლავ დაურბუნდებოდა საყვარელ სამშობლოს მოვალეობის მოსახდელად.

ეს მომენტიც დადგა; ეხლა ჩვენს თანამემამულეს ვხედავთ საქართველოს დედა ქალაქში დიდი საქმის სათავეში. საქმის დიდს მცოდნეს დიდის ნდობით აღჭურვილს. იგი პირნათლად ასრულებს ამ საქმეს მაგრამ, არა! მას ამ ხნის განმავლობაში დიდი საგანძურიც შეუძენია და ამ სიმდიდრით იგი აცხოველმყოფებს ჩაბარებულ საქმეს. ვანო ფალიაშვილი ეხლა დიდი ხელოვანია და, ერთი პირველაგანი ადგილი უკავია. ასეთი შთაბეჭდილება გამოვიტანე მე ვანო ფალიაშვილის „პიკის ქალის“ მოსმენით! აქ არც ერთი უბრალო, შტრიხი ამა თუ იმ, თუნდაც მეორე ხარისხოვან, საკრავისა ორკესტრში დიდსოსტატს არ გამოეპარება, არც ერთი პაუზა ან შემოკლებული, ან გაგრძელებული ყურს არ აჩოთირებს: ხან თავაშვებული მედგარი გრგვინვა და ხან ნაზი დუდუნი სიმიან საკრავების მიბნედილი ხმებისა—ადავრიშებენ მსმენელის ყურს ხან სალოცველად, ხან სატანჯველად. აღარ გეყურება დაგვიანებული შერთვა ამა თუ იმ საკრავისა, აღარც უთავბოლო ხმები, რომელიც დაწერაც პარტიტურაში ავტორს თავის სიცოცხლეში არ მოესიზმრებოდა—ეს ყველაფერი „ამოიფხვრა სახელმწიფო, თეატრის ორკესტრში, რომელიც ასე გამეფებული იყო წარსულ წლებში. დიდი გემოვნების პატრონს დიდი ოსტატის ფხიზელ თვალს

ხელში უჭირავს მთელი ორკესტრი ისევე, როგორც მეჭადრაკეს..... ასეთი დიდი განსწავლული ხელოვანი დაგვიბრუნდა სამშობლოში! ვის მოულოდნო აქ მისი დაბრუნება„ რასაკვირველია, ქართველი საზოგადოებისთვის, ქართული ხელოვნებისათვის მემეტება ეს მილოცვა, რადგან მინდა ვიფიქრო რომ როგორც წინად, ეხლაც არა ნაკლებ ენთება მას გული მშობლიური ხელოვნებისთვის, წინათ კი ჩვენი თანამემამულე პირველი განსწავლული ლოტბარი იყო ქართულ ენაზედ ოპერების წარმოდგენისა.

ასე სწერია თეთრ ქაღალდზედ შავი ასოებით: კვირას 29 იანვარს 1906 პირველად ქართულ ენაზედ წარმოდგენილი იქნება „დემონი“ თარგმანი ი. კარგარეთლისა, ლოტბარი ი. ფალიაშვილი რეჟისორი ბოგოლიუბოვი; მზადდება ქართულად „ფაუსტი“

ამას ახერხებდა პატარა ჯგუფი მაშინ როდესაც სახაზინო თეატრს დიდი ცერბერები პატრონობდნენ რასაკვირველია ამ კულტურულ საქმეში ვანოსაც ედო წილი.

22 იანვარს 1906 წე. „დემონი“ს წარმოდგენაზე სინოდალის პარტიაში მე ბუტაფორიის ტყვიით ვითომ და მომკლეს და როცა უხერხულად სცენაზედ დავეცი, ვანო ღიმილით მეუბნებოდა: „ხომ არაფერი იტკინეო“ ხოლო როცა ამავე წელს ორთაჭალის საპყრობილესთან მეფის აგენტებმა ცხელი ტყვიით გამინახევრეს ჯანი, უნარი და სასიკვდილოთ ვეგდე უპატრონოდ დატოვებული შუა ღამისას შარა გზაზე, „მე ვფიქრობდი პატიოსნურ საქმეს დარაჯად ფალიაშვილი შერჩა მეთქი“

და როდესაც ჩვენი ძვირფასი თანამემამულე ქართულ ოპერების დადგმას სახაზინო თეატრის სცენაზედ ამ 17-18 წლის წინად ესეთი თანაგრძნობითა და სიყვარულითა ეკიდებოდა, ნუ თუ ეხლა, ბრწყინვალე შარავანდედით მოსილი, დიდი მუსიკოსი და ლოტბარი, ეხლა, როდესაც მას ბედმა სახელმწიფო თეატრის მესვეურობა ჩაბარა, როდესაც იგი არის სიტყვაც და საქმეც ამ თეატრისა, ნუ თუ ეხლა დაივიწყებს იმ ძველ ნაბრძოლავ საქმეს და მოაკლებს თავის სიყვარულს და თანაგრძნობას ქართულ ენაზედ ოპერების დადგმას?

იქნება დიდი ხელოვანი ლოტბარის დაბრუნებას ელოდნენ უკვე ქართულ ენაზედ დადგმულნი და აწ მივიწყებულნი „კარმენი“ „ფაუსტი“, „ფიგროს ქორწინება“, ,,სევილიელი დალაქი“, ,,დემონი“?

მე მინდა ვიფიქრო და მწამს რომ კეთილშობილი მოქალაქე ვ. ფალიაშვილი გამოექომაგება ამ 17—18 წლის წინად ქართულ საზოგადოებაში დაწყობილ კულტურულ საქმეს და სასურველ მსვლელობას მისცემს და საიმედო ნიადაგზედ დააყენებს. ამ საქმის გამოქომაგება კი, რომლისთვისაც დიდიხანია იგი იწოდა და თანაუგრძნობდა, იქნებოდა, მოვალეობის მოხდა საქართველოს წინაშე

ამას მოელის ქართველი საზოგადოება,

**ი. კარგარეთელი.**

# ქარი

— განით! ჰა! განით! ჩამომეცალეთ! — დაჭკივლა ქარმა —მინდა ვიცეკვო! მინდა ვიცეკვო!.. ჩამომეცალეთ! ჩამომეცალეთ!

დაირას შემოჰკრა, ფიფრნ—ქლარუნნი აახმაურა, ციბრუტივით შემოტრიალდა, შემოტრიალდა, ფრთები გაშალა, შემოიქნია, შემოიქნია, ფეხნი მთებსა ჰკრა, შეაზანზარა, საყვირს ჩაჰბერა, შარა გზისაკენ გაეშურა, მგზავრს დაეტაკა.

— აბა, ვიცეკვოთ! აბა ვიცეკვოთ!.. ვიცეკვოთ რაღა!—დაჰგუგუნა.

კენჭები, მტვერი პირს მიაყარა...

კაბის კალთები აათრიალა, ყოშნი მხართ უკან გადაიყარა. ნალარას დაჰკრა, ჩონგურს ჩამოჰკრა.

— აბა, მომყევით! თქვენ ჰეი! მომყევით! არ გესმით განა?.. ჰა, სალამურიც! იჰექა მკვახედ, უნდა დაგატკბოთ! წივილი მორთო, დაიწუწუნა, დაიზუზუნა, არემარე გამოაყრუა.

ველზე გადახტა, დავლურით გაჰყვა, ტბას მიუვარდა...

— საყვარელო! საყვარელო! საყვარელო! ჰაა, საყვარელო? შენთან მაცეკვე! —შეჰსისინა.—მასიამოვნე!

ტბამ იუარა, გაინაზა, სახე დაიჭიმა..

— მომეცა, გიჟო!

— რათა ვარ გიჟი? რათა ვარ გიჟი? —ჩასჩუკჩუკა ქარმა ალგზნებით.—გინდა შეგამკო? გინდა შეგამკო?.. გინდა? გინდა, არა?. ჰო, გინდა, გინდა! გინდა!.. მწვანე ჩაფრასტებს მკერდზე დაგასხამ!..

ხეებს მიეჭრა, მწვანე ქოჩრები აუწაწა, შემოაწინწკნა და ტბის ზედა-პირს ფოთლების ხროვა გადააყარა, თანაც გვერდებში წაულიტინა.

ტბამ ტკბილათ გაუღიმა... ისე გაუღიმა, ისე გაუღიმა, რომ ქარმა ველარ მოითმინა, გადაეხვია და ვნებით სავსე კოცნა გადააყარა...

ტბა ქარს დანებდა... ტკბილმა ჟრუანტელმა დაურბინა. გაიზმორა, გაიზმორა, მკერდი აზიდა, გაიბერა, გაიბერა და წვრილ ბორცვებად გადაიფანტა.

ჩემი შვილები! ჩემი შვილები!—იშხუვლა ქარმა და ტყის ზვირთებს ჰერა დაუწყო.

— ფაფრებში სწვდებოდა, მაღლა ეწეოდა, აწიოკებდა.

— რა გაჭყიპინებსთ, თქვე იანგებო? რა გაჭყიპინებსთ! — დაუტურტურა ტბამ შვილებსა და მკერდი კიდევ აამოძრავა.

ქარი არ სცხრებოდა, გნიასი გაჰქონდა, აბეზარობდა, არნაუტობდა.

ტბის კლდიან ნაპირზე ფიცრულ სახლს მიუხტა.

— ნეტა ვისია? ნეტა ვისია?—წამოიჭყივლა ალვირახსნილმა და ფიცრულს კარი აუჰრაჭუნა.—ვისია, ვისი ეს კიდობანი?.. ეჰე! განდეგილია? განდეგილიაა, განდეგილი! . აბა, ერთი შევაფუცხუნოთ! განდეგილო, მაგრა იყავი!

ეოჰ! დამთხვეულო! თავი მანებე! ნუ ატეხილხარ!—დაუტატანა ფიცრულში მჯდომმა.—რამ აგიშალა იალქნები? მყუდროება რათ დამირღვიე? ვინ მოგცა ნება? აი დაგწყევლოს ღმერთმა მაღალმა, ყოვლად შემძლემა! რას ერჩი მწირსა, დავრდომილსა?..

ქარი სიცილმა აიტანა: ჩაიხითხითა, ჩაიკისკისა, გადაიხარხარა, გადიკისკისა.

მწირის სავანეს მხარი ახალა, ყიჟინა დასცა.

— უნდა შეგანჯღრიო, განდეგილო! გაგაქანო, გამოგაქანო! გამოგაცოცხლო! მოდუნებულო!..

დაბორიალდა, დაბორიალდა, ფრთები შემოჰკრა ფიცრულ სახლსა... ტბაში ისროლა.

აჰათ! პატარებო, გაიხარენით დაჰგრგვინა ზვირთებს.—მამათ მოგიძღვნათ საჩუქარი!

ფიცრული სახლი ატივტივდა, ტალღათა ხროვამ გაიტაცა, აათამაშა, დაატრიალა და ქარმაც, ხელი - ხელს შემოჰკრა.

— ვაშა შვილებო! ვაშა! ვაშა! ვაშა და ვაშა!—იგრიალა ალტაცებულმა და თვითონაც გამოეკიდა ფიცრულ სახლსა, გადააგორა, გადმოაგორა...

**ირრადიონ ხონდული.**

# ქრონიკა

**„მსახიობთა დღე“**

ორ იანვარს სრულიად საქართველოს მსახიობთა კავშარი აწყობს თავის ტრადიციულ დღეს ეს დღე მოწყობილი იქნება აგრეთვე ყველგან პროვინციაში. ამ დღისთვის მიცემული იქნება ერთი დღის გაზეთი, რომლის მასალებს იღებს სახალხო განათლების კომისარიატში შალვა დადიანი ამ დღეს რუსთაველის თეატრში კოტე მარჯანიშვილი დადგამს ანტონოვის პიესას ,,მზის დაბნელება“ პიესაში სხვა ქართველ არტისტებთან ერთად ითამაშებს ამ ჟამად ტფილისში მყოფი ალექსანდრე სუმბათაშვილი—იუჟინი მსახიობთა კავშირი ყოველ ღამეს ეს დღე საქართველოში ჩატარებულ იქნეს შესაფერი ზეიმით.

**შალვა დადიანის ნაწერების გამოცემა·**

კერძო გამომცემელი, რომელსაც უნდა აღნიშნოს შალვა დადიანის 25 წლის შემოქმედება ქართულ თეატრში და მეერლობაში სცემს ორ ტომად შ. დადიანის ნაწერებს. რომელშიც შევლენ: პიესები, მოთხრობები და დრამატიული კრიტიკის წერილები. წიგნი მზად იქნება იუბილეს დღეს.

**შალვა დადიანის იუბილე,**

სახელოვნო *კომიტეტი რომელიც არსებობს სახალხო განანათლების კომისარიატთან უმართავს 25 წლის იუბილეს ცნობილ რეჟისორს და არტისტს შალვა დადიანს.

ამ იუბილეს მოწყობაში ყველა ქართული საზოგადოებრივი და მხატვრული ორგანიზაციები იღებენ მონაწილეობას.

რედაქტორი **გიორგი ლეონიძე.**

ქალაქ ტფილისის და მის მიდამოებში მყოფ ავტომობილის რეგისტრაციის შესახებ, ქალაქ ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტის

# სავალდებულო დადგენილება

27 ნოემბერი 1922 წ.

1. ქალაქ ტფილისში და მის მიდამოებში მყოფ ავტომობილის რაოდენობის გამორკვევის მიზნით' მოხდეს აღრიცხვა ყველა, როგორც მჩატე მავალის, აგრეთვე ტვირთმზიდავ ავტომობილებისა.

2. ევალება ყველა სახელმწიფო და კერძო დაწესებულებათ, აგრეთვე სამხედრო უწყებას, კავკასიის ცალკე არმიის ნაწილების გამოუკლებლივ და კერძო პირთ, გამოგზავნონ თავიანთი ავტომობილები აღმასრულებელ კომიტეტის ეზოში (თავისუფლების მოედანი) დანიშნულ დღეს და საათზე აღსარიცხავათ და სარეგისტრაციო მოწმობისა და ნომრის მისაღებად.

3. აღრიცხვას აწარმოებს კომისია, რომელიც აღრიცხვის დროს აღნიშნავს მატორის ძალას, ნომერს და მანქანის ფირმას.

4. ავტომობილის მეპატრონე ვალდებულია მიღებული ნომერი მიაკრას ავტომობილს როგორც უკან ისე წინ თვალსაჩინო ადგილას, სარეგისტრაციო და პირადობის მოწმობანი—კი თან უნდა ჰქონდეს შოფერს, რომელიც ვალდებულია ესენი წარუდგინოს აღმასრულებელ კომიტეტის აგენტს უკანასკნელის პირველ მოთხოვნილებისათანავე.

**შენიშვნა** 1) დაბინდების შემდეგ მანქანის ნომერი განათებული უნდა იქნას უკანა ფარანით.

**შენიშვნა** 2) რეგისტრაციის რიგს, სამხედრო მაშინებისაა და ოკას ნაწილებისა ადგენს ქალაქის კომენდანტი აღმასკომის წარმომადგენელთან ერთად.

5. ავტომობილები, რომელიც არ იქნებიან აღრიცხული ამისთვის დანიშნულ ვადაში და არ ექნებათ ნომერი და სააღრიცხვო მოწმობა, ჩამოერთმევათ მეპატრონეთ მანამ მეპატრონეს არ გადახდება განსაზღვრული ჯარიმა.

6. თუ ავტამობილის მეპატრონეს დაეკარგა ნომერი და სააღრიცხვო მოწმობა, ვმლდებულია ეს გარემოება აცნობოს აღმასრულებელ კომიტეტს, რომელიც მას აძლევს ახალ ნომერს და სააღრიცხვო მოწმობის დუბლიკატს სათანადო ღირებულების გადახდის შემდეგ.

**შენიშვნა:** 1) ნომერისა და სააღრიცხვო ბარათის დაკარგვა უნდა გამოცხადდეს ოფიციალურ გაზეთში.

**შენიშვნა:** 2) ავტომობილების მეპატრონენი იხდიან თითეულ ცალ ნომერზე 70 ათ. მან. და მოწმობისათვის 10 ათ. მან.

7. ტფილისის ქალაქის მილიცია და აღმასკომის სხვა შესაფერი აგენტები ვალდებულნი არიან რეგისტრაციაში გაუტარებელი ავტომობილების მოძრაობა ქალაქში არ დაუშვან დი ასეთები თუ აღმოჩნდება დააკავონ და გადმოგზავნონ აღმასკომის სამმართველოს განყოფილებაში.

8. თუ ავტომობილი გადავიდა ერთი პირიდან მეორე პირის მფლობელობაში, როგორც პირველი ისე მეორე მხარე, სახელმწიფო დაწესებულებათა გამოუკლებლივ, ვალდებულნი არიან შეატყობინონ ეს გარემოება წერილობით აღმასრულებელ კომიტეტს, შესაფერ წიგნებში გასატარებლად.

9. ავტომობილის აღრიცხვა დაიწყება ამა წლის 11 დეკემბრიდგან დილის 9 საათზე.

| | |
|---|---|
| 1, 2, 3, სამილიციო რაიონები | 11, 12 და 13 დეკემბერს. |
| 4, 5, 6, 7, ,, ,, | 14, 15, 16 დეკემბერს. |
| 8, 9, 10, 11, და 12 ,, | 18, 19, 20 და 21 დეკემბ. |

10. დამნაშავენი ამ სავალდებულო დადგენილების შეუსრულებლობაში დაჯარიმებულ იქნებიან 5.000.000 მან. და ჯარიმის გადახდამდე—კი ჩამოერთმევათ ავტომობილი, რომელიც გადავა აღმასრულებელი კომიტეტის სარგებლობაში,

ქალაქ ტფილისის აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარე **ლ. დუმბაძე.**

ქალაქ ტფილისის და მისი მიდამოების კომენდატი **აბაშიძე.**

სამმართველოს განყოფილების უფროსი პრეზიდიუმის წევრი **თაქთაქიშვილი**

(კრ. 688—3—1)


# სახელმწიფო ღვინის, სპირტის და კონიაკის ტრესტი

გამგეობა—თბილისი, სასახლის ქ. № 6. ტელეფონი 16-52.

ს. ქ. უ. ლ. საქართველოს ხ. ს. რ.

სახელმწიფო ღვინის ტრესტი წინადადებას აძლევს ყველას, განურჩევლად, ვისაც რამდენი სურს მიიღოს საქონელი შემდეგ ქარხნებიდგან:

ქარხანა № 1. (ყოფილი სარაჯიშვილის) ლენინის ქ. № 30.

ქარხანა № 2. (ამხ. „არგო“) ნიკოლოზის მოედანი № 13.

ქარხანა № 3. (ყოფილ კალანდაძის) ვაგზლის ქუჩა № 5.

ქარხანა № 4. (ყოფილი სოგომონოვის) გომში—გორის მაზრა.

ქარხანა № 5. (ყოფილი პროტცერის) აბასთუმანში—ზუგდიდის მაზრა.

ქარხანა № 6. (ვეტცელის შემდეგ სიხარულიძისა), კამოს ქუჩა № 68.

ქარხანა № 7. ავჭალის შუშის ქარხანა, ლენინის სახელობის, ქვემოავჭალაში.

ტრესტის განკარგულებაშია აგრეთვე ლაბარატორიია ყოფილ ვილარეტისა.

ავჭალის შუშის ქარხანა ამზადებს ყოველგვარ ჭურჭლებს, როგორც ბოთლები: კონიაკის, არყის დლუდისას. ჭიქები: ჩაის, ღვინის, არყის. და ლუდისას სხვა და სხვა საზომის.

**ჩაის ლამბაქები, სარძევეს ღრაფინებს, სამურაბე ბანკებს, თაფლის ჭურჭლებს.**

ნაწილები ,,ეინდენგერის“ ელემენტებისა,

**წყლის საზომი მილები, ნავთის საზომი მილები. სააფთიაქო ბუშტებს, ლამპის შუშებს, ყოველგვარ ზომისას.**

შკვეთა შეიძლება, როგორც გამგეობასთან. აგრეთვე თვით ავჭალის ქარხანაში. ნაწარმოები ყოველგვარ სასმელების გამოხდები ტრესტისა.

**1. სპირტი 95—96 გრადუსი პურისა და ქაჭის.**
**2. პურისა და ჭაჭის არაყი.**

**3. კონიაკი ყოფილ სარაჯიშვილის ფირმისა.**
" ო. ს.
X
" 4—
X
" 3—

**4. კონიაკი ყოფილ „არგოს“ ფირმისა** ფინ შამპანი
X
" 4—3 ბუკ.
X
" 3—

ღვინის ტრესტი გარანტიას იძლევა თავის ნაწარმოებზე სახელმწიფო ეტიკეტით. ფალსიფიკაცია თუ აღმოჩნდა ამისთანებს პასუხისგებაში მისცემს.

**სპირტისა და სხვა მაგარი სასმელების გატანა საქართველოს საზღვრებიდგან შეიძლება მხოლოდ ღვინის ტრესტის ნებართვით.**

**ღვინის ტრესტი შეუდგა მზადებას „პორტვეინისა“ და შამპანიურისას,**

კრახმალის ქარხანა № 6 ამ მოკლე ხანში დაამზადებს **კრახმალს** ბაზარზე გასასყიდათ და **„დექსტერინი“** საკუთარი ნაწარმოები.

ქარხანა № 6 შემდეგში გამოუშვებს ბაზარზე **ლუდს** და **ყინვას**, ლაბორატორია ვილარეტისა გალენოვის პრეპარატით.